ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3610509

ნომერი: AR1547232

თარიღი : 06.10.2017

გაცემის თარიღი : 20.10.2017

გაცნობის თარიღი : 20.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი , N 17-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატ. N15 / ქალაქი თბილისი , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი , N 17 ; ქალაქი თბილისი , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი I გასასვლელი, N 1 / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი N19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ჩოქური პ/ნ 01008022448
- თბილისი წყნეთის გზატ. N 19

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი #AR1547232 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, #01.14.07.004.068 და #01.14.07.004.058 საკადასტრო ერთეულებზე შეთანხმებული

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის მომენტისთვის წარმოდგენილი გეოტექნიკური დასკვნების, ჭაბურღილების მონაცემების, გრუნტის ფიზიკა - მექანიკური შემსწავლელი სამუშაოების ამსახველი, ამგების ქანების და გრუნტის თვისებების შესახებ დოკუმენტაციის ასლებს.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი 2017 წლის 27 სექტემბრის #AR1544636 განცხადებით მოთხოვნის საფუძველზე უკვე გამოგეგზავნათ სამსახურში დაცული დოკუმენტაციის ასლები. კერძოდ ქ. თბილისში, #01.14.07.004.058 საკადასტრო ერთეულზე გაცემულ მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით ##2830735; 2807253 ბრძანებების და თანდართული განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული ნაწილის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის და მიმდებარედ არსებული შენობის ურთიერთზეგავლენის შეფასების შესახებ საექსპერტო დასკვნის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტეროტირიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგებზე საექსპერტო დასკვნის, მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის ასლები. ასევე ქ. თბილისში, #01.14.07.004.068 საკადასტრო ერთეულზე გაცემულ მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით ##2876858; 2880630 ბრძანებების და თანდართული განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული ნაწილის, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პერიოდში მომიჯნავე ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების მიმართ ზეგავლენის შესაძლებლობაზე საექსპერტო დასკვნის, პროექტის მიხედვით თერთმეტ სართულიანი კორპუსის მშენებლობისათვის გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფაზების და მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის ასლები. (სამსახურის 28.09.2017წ. #3575147 გადაწყვეტილება)
მშენებლობის ნებართვის მაძიებელს არ აქვს ვალდებულება მშენებლობის ნებართვის სტადიაზე წარმოადგინოს თქვენს მიერ მოთხოვნილი რიგი დოკუმენტაციისა, კერძოდ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის თანახმად, გაცნობებთ, რომ დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:
1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
2. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 61-ე მუხლის და „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007 წლის №62 დადგენილებით) მოთხოვნათა შესაბამისად;
4. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისაგან. 5. სავალდებულო საექსპერტო შეფასებ(ა)ები საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
5. სავალდებულო საექსპერტო შეფასებ(ა)ები საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.